

# ეფექტურობის აუდიტი



სასწრავო  
დაცვალება



სახელმწიფო  
შესყიდვები



პროფესიული  
განათლება



მაცნეობა

„სახელმწიფო აუდიტის სამსახური ეფექტიანობის აუდიტს 2012 წლიდან ახორციელებს. აუდიტის ამ თანამედროვე სახეობის მიზანია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საქმიანობის ობიექტური და საიმედო შეფასება ეკონომიკურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით.

აღნიშნული სამი პრინციპის მიხედვით საჯარო სექტორის ფუნქციონირების შემოწმება უფრო მაღალი ხარისხის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას გულისხმობს, ვიდრე ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ტრადიციული აუდიტის ფარგლებში და შესაბამისად, ქმედით ხელსაწყოს წარმოადგენს პარლამენტის, მედიისა და ფართო საზოგადოებისათვის აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ეფექტიანი ზე-დამხედველობის განსახორციელებლად.

წინამდებარე ბროშურაში წარმოდგენილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2013 წელს განხორციელებული 4 ეფექტიანობის აუდიტის მოკლე შინაარსი. აღნიშნული თემები შეირჩა მათი არსებითობის და საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუდიტის შედეგად კი გაიცა პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხერისკენ არიან მიმართულნი“.

**გენერალური აუდიტორი  
ლაშა თორდია**



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ეფექტიანობის  
აუდიტი

თბილისი  
2014



Implemented by  
**giz** Deutsche Gesellschaft  
für Internationale  
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

სასწრავო სამაღისტიო  
დაცვარების სისტემის  
ეფექტურობის აუდიტი




# სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემის ეფექტურობის აუდიტი

## თავისებულებრივი აუდიტი

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სფეროში. საქართველოს შინაგან საქმითა სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა სსიპ „112“, რომელიც მოსახლეობის ზარებს პასუხობს და უზრუნველყოფს შესაბამისი სასწრაფო დახმარების ბრიგადისთვის ინფორმაციის ოპერატიულ გადაცემას. თბილისში განხორციელდა სპეციალურად აღჭურვილი ახალი ავტომანქანების შესყიდვა, წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამედიცინო პერსონალის აღჭურვა და განეული მომსახურების ხარისხი. საქართველოს რეგიონებში შეიცვალა პროგრამის განხორციელებისა და დაფინანსების სისტემა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურისა და სისტემის მთავარ მიზანს, გადაუდებელი მდგომარეობების დროს გართულებებისა და სიკეთილიანობის შემცირება წარმოადგენს. აღნიშნულის მიღწევის წინაპირობა გამოძახებაზე დროული რეაგირება და განეული პირველადი სამედიცინო დახმარების მაღალი ხარისხია. საქართველოში 2000-დან 2013 წლამდე სასწრაფო სამედიცინო დახმარებით მოსარგებლეთა რიცხვი, წლების მიხედვით მკვეთრად გაიზარდა (იხ. გრაფიკი 1).

გრაფიკი 1. სასწრაფო სამედიცინო დახმარებით მოსარგებლეთა რიცხვი



გამოძახებათა რაოდენობის ამგვარი ზრდის ფონზე, განეული მომ-სახურების დროულობასა და ხარისხთან დაკავშირებით, საზოგადოებაში მრავალი კითხვა გაჩნდა. შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გადაწყვიტა პრობლემა ღრმად შეესწავლა და აქცენტი სასწრაფო სამე-დიცინო დახმარების დროულობასა და მომსახურების ხარისხზე გააკეთა.

აუდიტით გამოვლინდა, რომ განხორციელებული პოზიტიური ცვლი-ლებების მიუხედავად, მნიშვნელოვანი პრობლემები რჩება სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემაში, რაც სასწრაფო სამედიცინო მომ-სახურების დროულ რეაგირებასა და მომსახურების ხარისხზე აისახება.

## ეფექტიანობის აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემის ეფექ-ტიანობის შესწავლა, მასზე დაყრდნობით ანგარიშის მომზადება და რე-კომენდაციების გაცემა წარმოადგენდა.

ეფექტურიანობის აუდიტი განხორციელდა ISSAI<sup>1</sup>-ის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური დაინტერესდა სასწრაფო სამედი-ცინო დახმარების სფეროში განხორციელებული ცვლილებებით. მოხდა სასწრაფო დახმარების სისტემის ეკონომიკურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის საკითხების შესწავლა, ნაკლოვანებების გამოვლენა და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. აუდიტის პერიოდში მოიცვა 2010-2012 წლები და 2013 წლის პირველი ნახევარი.

## გამოვლენილ ნაკლოვანებები და შესაბამისი რეკო-მენდაციები

სასწრაფო სამედიცინო დახმარების დროული რეაგირება


სამედიცინო პრიორიტეტების განსაზღვრის სისტემა და გამოძახებათა მზარდი რაოდენობა;

ქვეყნის მასშტაბით სადისპეჩერო პროტოკოლებზე დაყრდნობით პრიორიტეტების განსაზღვრის სისტემის აპრობირებული პროგრამა არ არის დანერგილი.


1 <http://www.issai.org/> - უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის საერთაშორისო სტანდარტები

პაციენტის მდგომარეობის სირთულის გათვალისწინებით, სასწრაფო დახმარების ბრიგადისთვის გამოძახებაზე რეაგირების დროის ნიშნული არ არის განსაზღვრული. პაციენტის მდგომარეობის მიუხედავად, რეაგირების დროის საშუალო მაჩვენებელი თთქმის ერთნაირია (იხ. გრაფიკი 2,3). შესაბამისად, დიდი რაოდენობის გამოძახებების შემთხვევაში სასწრაფო სამედიცინო დახმარება მძიმე მდგომარეობაში მყოფ პაციენტთან იგვიანებს.

გრაფიკი 2. საქართველო (ინციდენტის ტიპების მიხედვით რეაგირების საშუალო დრო)



გრაფიკი 3. დიდი პრიტანეთი (ინციდენტის ტიპების მიხედვით რეაგირების საშუალო დრო)



პირველადი ჯანდაცვის<sup>2</sup> მდგომარეობა მნიშვნელოვნად განაპირობებს სასწრაფო სამედიცინო დახმარებაზე მზარდ მოთხოვნას. სწორედ ასეთ მოთხოვნას უკავშირდება ე.წ. დაბალ პრიორიტეტული ზარების მაღალი რიცხვი, რომელიც პირველადი ჯანდაცვის ეფექტუანი მუშაობის შემ-

<sup>2</sup> პირველადი ჯანდაცვა მოიცავს დაავადებათა პრიფილაქტიკას, ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და გაუმჯობესებაზე მიმართულ ღონისძიებებს

თხვევაში მინიმალურ დონეზე შეიძლება იქნეს დაყვანილი. არა გადაუდებელ გამოძახებათა რაოდენობის შესამცირებლად, უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

სახელმწიფოს მიერ განეული ხარჯების ზრდასთან ერთად გამოძახებათა დიდი რაოდენობა გავლენას ახდენს დროულ რეაგირებასა და მომსახურების ხარისხზე. აღნიშნული პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ მექანიზმს საკონსულტაციო სერვისი წარმოადგენს.

### რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია სამინისტროს კოორდინაციით, სსიპ „112“-თან ერთად შემუშავდეს სადისპეჩერო პროტოკოლები, სსიპ „112“-ის სისტემაში დაინერგოს პრიორიტეტების დისპეჩერიზაციის პროგრამა და დაწესდეს ინციდენტის ტიპებზე შესაბამისი რეაგირების დროის ნიშნული. მნიშვნელოვანია, შემუშავდეს პრიორიტეტების მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და აღმოიფხვრას გამოძახებაზე არაგონივრულ დროში მისვლის თუ საერთოდ არგასვლის შემთხვევები;
- გამოძახებების და პრიორიტეტების ანალიზის შედეგად, შესაძლებელია გამოვლინდეს ის არა გადაუდებელი ნოზოლოგიები შესაბამის ასაკობრივ ჯგუფები, რომლებზეც მოთხოვნა დიდია, ხოლო ამ შემთხვევაში სამინისტროს კოორდინაციით ამოქმედდეს სხვადასხვა ბერკეტი, რათა ქვეყანაში მინიმუმადე შემცირდეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების, როგორც „მოსიარულე ოჯახის ექიმის“ როლი;
- მნიშვნელოვანია, რომ სამინისტრომ გამოიყენოს მის ხელთ არსებული ბერკეტები პირველადი ჯანდაცვის როლის გაზრდისთვის, რაც შეამცირებს არა გადაუდებელი გამოძახებების რიცხვს და მასთან დაკავშირებულ დანახარჯებს; მნიშვნელოვანია, სსიპ „112“-მა, სამინისტროსთან, ქ. თბილისის მერიასთან და სხვა სუბიექტებთან ერთად იზრუნოს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისთვის, არა რელევანტურ გამოძახებათა რაოდენობის შესამცირებლად სხვადასხვა საგანმანათლებლო, სარეკლამო-ინფორმაციული ინსტრუმენტე-

ბის გამოყენებით, რათა მოხდეს არამიზნობრივი გამოძახებების იდენტიფიცირება და შემცირება.

## ბრიგადების ტერიტორიული განაწილება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენება;

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ რეგიონებში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოპარკი გაუმართავია, რის გამოც ხშირია რეაგირების გარეშე დატოვებულ გამოძახებათა რაოდენობა. ამასთან, რეგიონებში ბრიგადების დატვირთვის განსხვავებული მაჩვენებელი ადასტურებს ბრიგადების არაოპტიმალურ გადანაწილებას.

ერთმანეთის მომიჯნავე თვითმმართველ ერთეულებში მომსახურების მიმწოდებელი სხვადასხვა აპერატორი კლინიკა, მხოლოდ თავისი მუნიციპალიტეტის მასშტაბით შემოსული ზარების მომსახურებაზეა პასუხისმგებელი. კონკრეტული რაიონის ბრიგადას არ შეუძლია მეზობელი თვითმმართველი ერთეულიდან შემოსულ ზარზე რეაგირება, მიუხედავად იმისა, რომ გამოძახება ალნიშნული ტერიტორიიდან უფრო ახლოს შეიძლება მდებარეობდეს. აქედან გამომდინარე საქართველოს რეგიონებში გამოძახებაზე რეაგირება გარკვეულ შემთხვევებში არ ხდება ოპტიმალური მანძილის შესაბამისად, რაც ზრდის გამოძახებაზე რეაგირების დროს.

### რეკომენდაცია:

- მნიშვნელოვანია, რომ სამინისტრომ უზრუნველყოს ბრიგადების ოპტიმალური გადანაწილება და მისი პროპორციული დაფინანსება თვითმმართველი ერთეულების მიხედვით, როგორც მოსახლეობის რაოდენობისა და გეოგრაფიული პრინციპების, ასევე სასწრაფო სამედიცინო დახმარებაზე მოთხოვნისა და მისი განმაპირობებელი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა; დროული რეაგირებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სამინისტრომ უზრუნველყოს გამოძახებაზე რეაგირება ოპტიმალური მანძილის შესაბამისად, ამავდროულად მნიშვნელო-

ვანია რეგიონებში სამინისტრომ უზრუნველყოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ტექნიკური შემაფერხებელი გარემოებების აღმოფხვრა;

## სასწრაფო სამედიცინო დაცვარების მომსახურების ხარისხი

სასწრაფო სამედიცინო დახმარების პრიგადების პერსონალის კვალიფიკაცია და სამედიცინო პროტოკოლები

სასწრაფო დახმარების ექიმებისთვის ჩატარებული ტრენინგები არ ატარებს რეგულარულ ხასიათს და არ უტარდება ყველა ექიმს. განსხვავებულია თბილისა და რეგიონებში მომზადების დონე, ექიმები განსხვავებული სასწავლო პროგრამით გადიან მომზადებას. სისტემა არ არის სტანდარტიზებული, ქვეყნის მასშტაბით არ არის დანერგილი მკურნალობის პროტოკოლები და სტანდარტები.

## სამედიცინო დაწესებულებაში პაციენტის ჰოსპიტალიზაცია

ხშირად ირლვევა პაციენტის უახლოეს კლინიკაში გადაყვანის პრინციპები. ამასთან, მაღალია კლინიკების მიერ პაციენტის მიღებაზე უარის თქმის რიცხოვნობა პაციენტის სოციალური სტატუსის ან სტაციონარული ადგილების შეზღუდვის გამო, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ცალკეულ შემთხვევებში მძიმე მდგომარეობაში მყოფი პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და გაზარდოს სიკვდილიანობის მაჩვენებელი.

### რეკომენდაციები:

- სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს აკრედიტებული პროგრამის, პროტოკოლების/გაიდლაინების სტანდარტიზება მთელი საქართველოს მასშტაბით, საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. ასევე

მნიშვნელოვანია, სამინისტრომ, ქ. თბილისის მერიის სსიპ - „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრთან“ თანამშრომლობით განახორციელოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მოდელების შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემების, სავალდებულო ტრენინგ პროგრამებისა და მათი პერიოდულობის სტანდარტიზება. აღნიშნული ხელს შეუწყობს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მოდელის ჩამოყალიბებას გრძელვადიან პერსპექტივაში და გააუმჯობესებს პაციენტისთვის განეული მომსახურების ხარისხს;

- მნიშვნელოვანია, რომ სამინისტრომ უზრუნველყოს ქვეყნის მასშტაბით ჰოსპიტალიზაციის ერთიანი სქემის არსებობა, ასევე პროგრამის სხვა განმახორციელებლებთან ერთად - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების მიერ პასპორტიზაციის სისტემის გამოყენება. აღნიშნული გაამარტივებს ჰოსპიტალიზაციის პროცესის მართვასა და ორგანიზებას. სამინისტრომ ასევე უნდა უზრუნველყოს კლინიკების მიერ ჰოსპიტალიზებული პაციენტის მიღებაზე უარის შემთხვევების განხილვა, მიზნების დადგენა და მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით მათზე რეაგირება, რათა დაცულ იქნეს კრიტიკულ შემთხვევებში უახლოეს კლინიკაში გადაყვანის პრინციპი და არ დაზარალდეს მძიმე მდგომარეობაში მყოფი პაციენტი.

### **სასწრაფო სამედიცინო დახმარების პროგრამების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების დაგეგმვა და დაფინანსება**

2012 წელს, ქ. თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამაში სადაზღვევო კომპანიების პროგრამაში ჩართვის შედეგად 1,420,000 ლარი დაიზოგა. ამასთან, წლების განმავლობაში დაზღვეულთა რაოდენობა მზარდია. კორპორაციული თუ ინდივიდუალურად დაზღვეული პირების სადაზღვევო პაკეტები მოიცავს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, ხოლო მოქალაქეთა უმეტესი ნაწილი სასწრაფო დახმარების მოთხოვნით ზარს ახორციელებს სსიპ „112“-ში, რომელიც

მისამართზე მხოლოდ სახელმწიფოს დაფინანსებაზე მყოფ სასწრაფო დახმარებას აგზავნის და აღნიშნული ზრდის სახელმწიფო ხარჯებს.

ხშირ შემთხვევაში, ქ. თბილისში პროგრამის განმახორციელებლების მიერ არ ხდება პროგრამის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობების დაგეგმვა ეკონომიურობისა და პროდუქტიულობის პრიციპებიდან გამომდინარე. მაგალითისთვის ქ. თბილისის მერიამ 2013 წელს სასწრაფო დახმარების ავტოპარკი სრულად განაახლა ახალი მიკროვეტობულის ტიპის სპეციალურად აღჭურვილი ავტომანქანებით, მაშინ როდესაც ასეთი ტიპის ავტომობილები პაციენტის ჰოსპიტალიზაციისთვის გამოიყენება, რაც არსებულ რეალობაში გამოძახებათა საერთო რაოდენობის 13%-ია. პრიორიტეტების სისტემის პროპორციულად, ნაწილობრივ მსუბუქი ავტომანქანების შესყიდვის შემთხვევაში, ბიუჯეტი მნიშვნელოვნად დაიზოგებოდა.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2012 წელს ქ. თბილისის სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ მიერ განხორციელდა პლანშეტური კომპიუტერების შესყიდვა სასწრაფო დახმარების ექიმებისთვის, თუმცა ამ დრომდე შესყიდული ინვენტარი გამოუყენებელია.

### რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია გადაიხედოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების პროგრამის დაფინანსების წესი, რათა არ მოხდეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების საბიუჯეტო პროგრამით განეული დანახარჯებისა და მოქალაქეთა მიერ კერძო დაზღვების პაკეტის ღირებულებაში გადახდილი თანხების გაორება;
- მნიშვნელოვანია, ქ. თბილისის მერიის, სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ მიერ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე ფინანსური რესურსის ხარჯვა მოხდეს სტრატეგიული გეგმის, პრიორიტეტების, განსახორციელებელი ღონისძიების სწორი დაგეგმვისა და ანალიზის შედეგად, ეკონომიურობის პრიციპების სრული დაცვით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს განეული მომსახურების ეფექტიანობას.

## აუდიტის შედეგი

აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციების უზრუნველსაყოფად, სამინისტრომ შეიმუშავა სტრატეგია, რომელიც უახლოეს მომავალში განხორციელდება. ახალი სტრატეგიით, 2014 წლის 1 სექტემბრიდან დაიწყო სასწრაფო სამედიცინო დახმარების პრიორიტეტების დისპეჩერიზაციის სისტემაზე გადასვლა, ამავდროულად რეგიონებში სასწრაფო დახმარების რეაგირება ადმინისტრაციული საზღვრების მაგივრად უახლოესი ტერიტორიული პრინციპით განხორციელდება. მნიშვნელოვანი ცვლილებები ხორციელდება ასევე სასწრაფო დახმარების ტექნიკური შემაფერხებელი მიზეზების აღმოსაფხვრელად, მაგალითად: რეგიონებში არსებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოპარკი სრულად განახლდა.

ეფუძნებოდეთ უზრუნველყოფა  
სახელმწიფო გასყიდვების  
სისტემაში



# ეფექტურობის უზრუნველყოფა სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში

გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და განვითარების თანა-  
მედროვე მიღვომები


## თემის აქტუალურობა

ბოლო 5 წლის განმავლობაში უმნიშვნელოვანესი რეფორმები გატარდა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში. განხორციელებული ცვლილებებით საქართველოში ჩამოყალიბდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამჭვირვალე შესყიდვების სისტემა, რომელიც დადგებითად შეაფასა მრავალმა საერთაშორისო ორგანიზაციამ. შესყიდვების ახალმა, გამჭვირვალე სისტემამ შეამცირა კორუფციული გარიგებების აღპათობა, გაამარტივა შესყიდვების პროცედურები და საგრძნობლად იმატა კონკურენციამ.

საქართველოს ბიუჯეტის 30%-ზე მეტი (მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 15%) იხარჯება სახელმწიფო შესყიდვებზე. სახელმწიფო შესყიდვები წარმოადგენს მაღალი რისკის შემცველ სფეროს კორუფციისა და სახელმწიფო სახსრების ეფექტური ხარჯვის კუთხით. შესაბამისად, აღნიშნული სფეროს სწორი და ეფექტური რეგულირება უმნიშვნელოვანესია სახელმწიფო სახსრების რაციონალურად ხარჯვის უზრუნველსაყოფად.

2011-2012 წლებში გაფორმდა დაახლოებით 5,433,850,000 ლარის ღირებულების კონტრაქტები სახელმწიფო შესყიდვებზე, რაც აღნიშნულ წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გახარჯული მთლიანი თანხის (15,266,100,000 ლარი) 35%-ს აღემატება.

გრაფიკი 1: სახელმწიფო პასუხისმგების გაფორმებული კონტრაქტების მოლიგი დირექტორის ცილი 2011-2012 წლების პირველი კვარტლი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური დაინტერესდა აღნიშნული საკითხით და გადაწყვიტა შეესწავლა სახელმწიფო შესყიდვების გარდაქმნილი სისტემა, გამოევლინა ნაკლოვანებები და დაესახა გზები, რომლითაც შესაძლებელი იქნება სისტემის კიდევ უფრო განვითარება და სრულყოფა. აუდიტით გამოვლინდა, რომ პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, გარკვეული ხარვეზებია კანონმდებლობაში და მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია შესყიდვების განხორციელების ყველა სტადიაზე.

## ეფექტური მოვლენების აუდიტის მიზანი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიზანს წარმოადგენდა, რეფორმირებული და გარდაქმნილი სახელმწიფო შესყიდვების სისტემის შესწავლა, რაც შესყიდვების სფეროში განხორციელებული ღონისძიებების ეკონომიკურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტურობის კუთხით შეფასებას გულისხმობს.

## გამოვლენილი ნაკლოვანებები და შესაჩამისი რეკომენდაციები

საჭიროებების/მოთხოვნილებების არასწორად განსაზღვრა

შემსყიდვები ირგანიზაციების შესყიდვების გეგმა, რომელიც წლიურ ბიუჯეტს ეფუძნება, რიგ შემთხვევებში ზუსტად და სამართლიანად არ ასახავს ორგანიზაციის წინაშე მდგარ საჭიროებებს და ხელოვნურად

არის გაზრდილი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოს საჯარო სექტორში ხშირია საჭიროებების გადაჭარბებით შეფასების შემთხვევები, რის შედეგადაც საბიუჯეტო ორგანიზაციები ყიდულობენ ისეთ ძვირადლირებულ პროდუქციას, რომლებიც ფუნქციონალურად გაცილებით აღემატება შემსყიდველის მოთხოვნილებებს/საჭიროებებს. ხშირ შემთხვევებში ხდება ისეთი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენა, რომელთა ტექნიკური მახასიათებლები შემსყიდველთა მოთხოვნებს საჭიროზე მეტად აღემატება და, შესაბამისად, იზრდება შემსყიდველი ორგანიზაციების ხარჯები. მსგავს პრობლემებს ვაწყდებით ავეჯისა და კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვასთან დაკავშირებითაც.

შემსყიდველთა სატენდერო დოკუმენტაციისა და შესყიდვის ხელშეკრულებების შესწავლისას, ასევე, გამოვლინდა სატენდერო დოკუმენტაციის ერთ პირზე მორგების, საჭიროებების ზოგადი ან ზედმეტად დეტალური განსაზღვრის რისკები. კერძოდ, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ავტომანქანების შესყიდვა განხორციელდა სპეციფიკაციების არა ნეიტრალური განსაზღვრით (ერთ პირზე მორგებით), რაც გამოიხატა ტექნიკურ დავალებაში ავტომანქანის პარამეტრების (მაგალითად, სიგრძე/სიგანე/სიმაღლე: 4,660 X 1,890 X 1,760) მიკერძოებული მითითებით, რის გამოც ტენდერში პრეტენდენტთა წრე სავარაუდო იზღუდებოდა და მხოლოდ ერთი კომპანია იღებდა მონაწილეობას. სულ, დაახლოებით 10 მსგავსი შესყიდვა გამოვლინდა, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ 373,000 ლარი შეადგინა.

პრობლემების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი გახლავთ ის, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები სათანადოდ არ იყენებენ საერთაშორისო/რეგიონული ორგანიზაციებისა ან/და საქართველოს სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრავს პროდუქტის მახასიათებლებს.

ასევე გამოვლინდა, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები არ ახორციელებენ სხვა ორგანიზაციათა მიერ განხორციელებული შესყიდვების ანალიზს, რადგანაც ერთი და იმავე პერიოდში, ფაქტობრივად იდენტური სახის შესყიდვა ხდება მნიშვნელოვნად განსხვავებულ ფასად სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ. ბაზრის შესწავლასთან დაკავშირებული ღონისძიებების არასათანადო განხორციელების გამო შემსყიდველი ორგანიზაციები არასწორად საზღვრავენ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას, რაც, თავის მხრივ, იწვევს შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულებისა და, შესაბამისად, ხარჯების ზრდას.

## რეკომენდაციები

### სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს:

- წარმოადგინოს ინიციატივა გარკვეული კატეგორიის შესყიდვის ობიექტებზე სპეციალური რეგულაციის შემოღებისა და შესყიდვის ფასების მაქსიმალური ოდენობის დაწესების თაობაზე (აღნიშნული შესაძლებელია დარეგულირდეს მთავრობის დადგენილებით);
- რაციონალურად ხარჯვის პრინციპის გათვალისწინებით საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს მისცეს რეკომენდაციები, თუ რომელი პროდუქტის თაობაზეა მიზანშეწონილი და პრიორიტეტული სტანდარტების შემუშავება (ადაპტირება/რეგისტრაცია) შესყიდვების სისტემაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე; უზრუნველყოს პროცესში დაინტერესებულ სუბიექტთა ჩართულობა და მხარეთა შორის კოორდინაცია;
- განახორციელოს შესაბამისი ლონისძიებები შემსყიდველი ორგანიზაციების ცნობიერების ასამაღლებლად, სტანდარტების არსებობისა და პრაქტიკაში მათი გამოყენების მიზანშეწონილობის თაობაზე; აგრეთვე მისცეს რეკომენდაციები, თუ რა კატეგორიის შესყიდვის განხორციელებისას არის მიზანშეწონილი არსებული სტანდარტებით სარგებლობა;
- მისცეს რეკომენდაციები შემსყიდველ ირგანიზაციებს, რათა მათ გაამკაცრონ შესყიდვების პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციები, მასზე პასუხისმგებელი პირების უფლება-მოვალეობების ნათლად განსაზღვრითა და ვალდებულების არასათანადოდ შესრულებისათვის შესაბამისი რეაგირების მექანიზმების შემუშავებით.
- შემუშავდეს სარეკომენდაციო ხასიათის სახელმძღვანელო, რომელიც სხვადასხვა კატეგორიის შესყიდვებისათვის პაზრის კვლევის ძირითად პრინციპებსა და მეთოდებს მოიცავს.

## ცენტრალიზაციასთან დაკავშირებული პროგლემათიკა

საქართველოში კონსოლიდირებული (მთავრობის დონეზე) და ცენტრალიზებული/ერთობლივი (რამდენიმე შემსყიდვებულ ორგანიზაციათა შეთანხმებით შესაძლებელია ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად განხორციელება) შესყიდვების პრაქტიკა ნაკლებად არის დანერგილი. დეცენტრალიზებული სისტემის პირობებში სახელმწიფო დაწესებულებები და მათი მმართველობის სფეროში შემავალი სტრუქტურული ერთეულები ორგანიზაციის სიდიდიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, შესყიდვას ახორციელებენ მცირე რაოდენობის პროდუქტზე, რაც ზრდის დანახარჯებს. ერთი სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი დაწესებულებები, ერთი და იგივე პროდუქტის შეძენას ახდენენ სხვადასხვა ფასად. შესყიდვის ცენტრალიზაციით კი შესაძლებელი იქნებოდა უფრო დიდი მოცულობის შესყიდვის განხორციელება, რაც როგორც წესი, უზრუნველყოფს ფასების შემცირებას.

### რეკომენდაციები

#### სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს:

- სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი საპიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია გარკვეული კატეგორიის (მაგალითად, დაზღვევა, ტელეკომუნიკაციები, ავტომანქანები და ა.შ.) შესყიდვები განხორციელდეს კონსოლიდირებულად ან/და ცენტრალიზებულად (ერთობლივი შესყიდვა), რაც სახელმწიფოს საშუალებას მისცემს დიდი მოცულობის შესყიდვა განხორციელოს ნაკლები დანახარჯებით.

#### შემსყიდვებულ ორგანიზაციებს:

- შემსყიდველმა ორგანიზაციებმა (მაგალითად, სამინისტროებმა) უზრუნველყონ ცენტრალიზებული/ერთობლივი ტენდერების განხორციელება საკუთარი და მათი მმართველობის სფეროში შემავალი ორგანიზაციების (მაგალითად, სსიპ-ების,

საქვეუწყებო დაწესებულებების) საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. შესყიდვა სამინისტროს მასშტაბით განხორციელდება კოორდინირებულად ერთი სუბიექტის მიერ, რაც სახელმწიფო დაწესებულებებს შესაძლებლობას მისცემს შექმნან ეფექტური მონიტორინგის სისტემა, რომელიც კონტროლს გაუწევს მთლიანად სამინისტროს მასშტაბით განხორციელებულ შესყიდვებს და სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროსათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას.

## გამარტივებულ გასკილვების დაკავშირებული პროცესებისათვის

2011-2012 წლებში გამარტივებული წესით განხორციელებული შესყიდვების ღირებულებამ ჯამში 2 მილიარდზე მეტი ლარი შეადგინა (რაც აღნიშნულ პერიოდში განხორციელებული შესყიდვების დაახლოებით 40%-ს შეადგენს). გამარტივებული შესყიდვები განხორციელდა სხვადასხვა საშუალებით, კერძოდ, მონეტარული ზღვრის დაცვით, მთავრობის/პრეზიდენტის თანხმობით, გადაუდებელი აუცილებლობით და სხვ.

გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით განხორციელებული შესყიდვების შესწავლისას გამოვლინდა, რომ შემსყიდვები ორგანიზაციების მიერ ხდებოდა გამარტივებული შესყიდვების/ტენდერების განხორციელება, თუმცა, აღნიშნულის საფუძველი (გადაუდებელი აუცილებლობა) რიგ შემთხვევებში არ არსებობდა. მაგალითად, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, შემსყიდვები 981,500 ლარის ღირებულების ავტოსატრანსპორტო საშუალების სათადარიგო ნაწილები შეიძინა გამარტივებული შესყიდვების საშუალებით. ხელშეკრულებით შესყიდული იქნა ისეთი სათადარიგო ნაწილები, რომელთა უმეტესი ნაწილი შეიძლება საერთოდ არ გამხდარიყო საჭირო და შემსყიდვები ორგანიზაციის შესაბამისი სამსახურის მიერ ვერ იქნა ნარმოდგენილი შესყიდვების განხორციელების აუცილებლობის დასაბუთება. აუდიტით გამოვლინდა, რომ შესყიდვიდან 10 თვეზე მეტი წენის განმავლობაში, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით შესყიდული სათადარიგო ნაწილების მხოლოდ

მცირე ნაწილი იყო გამოყენებული და 911,500 ლარის ღირებულების მარაგები გამოყენებლად ინახებოდა საწყობებში. გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების დროს ხდება ტენდერის პროცედურების გვერდის ავლა, რაც ვერ უზრუნველყოფს კონკურენციასა და შესყიდვის ხელსაყრელ ფასში განხორციელებას.

ამასთანავე, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი არ ვრცელდება მივლინებებთან დაკავშირებულ შესყიდვებზე, შედეგად, შემსყიდველი ორგანიზაციები მივლინებებთან დაკავშირებული მომსახურებების (სასტუმრო, მგზავრობა და ა.შ.) შესყიდვებს ახორციელებენ გამარტივებული წესით, ერთ პირთან მოლაპარაკების საფუძველზე. მათი გამარტივებული წესით განხორციელების შესაძლებლობა იწვევს ხარჯების ზრდას და რიგ შემთხვევებში ვერ უზრუნველყოფს მომსახურების მაღალ ხარისხს.

### რეკომენდაციები

#### სიიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს:

- შეიმუშავოს გადაუდებელი აუცილებლობის მდგომარეობის დასაბუთების გამჭვირვალე და მოქნილი პროცედურა; შემუშავდეს ჩარჩო - დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც შემსყიდველი ორგანიზაციები დაასაბუთებენ შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობას;
- მივლინებებთან დაკავშირებული მომსახურებების (განსაკუთრებით მგზავრობის) შესყიდვა განხორციელდეს ელექტრონული სისტემის მეშვეობით (რომელშიც მონაწილეობა შეიძლება მიიღონ ტურისტულმა სააგენტოებმა, ავიაკომპანიებმა, და ა.შ.); ამისათვის აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების ინიციატივა, რათა მოხდეს მივლინებებთან დაკავშირებული მომსახურების გამარტივებული წესით შესყიდვის უფლების აკრძალვა;
- უნდა გაანალიზდეს საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული მეთოდების (დინამიური შესყიდვის მეთოდი, ჩარჩო-ხელშეკრულებები და ა.შ.) დანერგვისა და გამოყენების მიზანშეწონილობა; აღნიშნულისათვის აუცილებელია შესყიდვის

სპეციალური წესის შემუშავება და ელექტრონული სისტემის მოდიფიცირება (შესაბამისი მოდულის ინტეგრირება), რათა ტექნიკურად შესაძლებელი გახდეს მსგავსი სახის შესყიდვების განხორციელება.

### შესყიდველ ორგანიზაციებს:

- მივლინებებთან დაკავშირებული შესყიდვები განახორციელონ სააგენტოს მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად. ამასთანავე სასურველია, საბიუჯეტო ორგანიზაციების კოორდინირებული მუშაობა და ცალკეულ შემთხვევებში ცენტრალუზებული/ერთობლივი შესყიდვის განხორციელება რამდენიმე შემსყიდველი ორგანიზაციის ფარგლებში (მაგალითად, სამინისტრომ - თავის მმართველობის სფეროში შემავალი დაწესებულებებისათვის).

## ტელერის განხორციელების ეტაპი

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების შესწავლისას გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში შემსყიდველი ორგანიზაციები სათანადო დასაბუთების გარეშე წყვეტდნენ ტენდერის პროცედურებს. ტენდერის დაუსაბუთებლად შეწყვეტის მიზანი შეიძლება იყოს გადაუდებელი აუცილებლობის მდგომარეობის ხელოვნურად შექმნა, შემსყიდველისათვის არასასურველ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების თავიდან აცილება და ა.შ.

განხილული შესყიდვების ანალიზი ცხადყოფს, რომ პრეტენდენტთა დისკვალიფიკაცია და ტენდერების შეწყვეტა ხდება დაუსაბუთებული მიზეზებით. შესაბამისად, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ შემსყიდველები ხელშეკრულებებს აფორმებენ მათთვის სასურველ პრეტენდენტებთან, ზღუდავენ კონკურენციას და აჭიანურებენ შესყიდვების განხორციელებას.

## **რეკომენდაციები**

### **სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს:**

- შემუშავოს საკანონმდებლო ინიციატივა შემსყიდველის მხრიდან ტენდერის შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებისა და პრეტენდენტისთვის შეტყობინების სავალდებულო ხასიათთან დაკავშირებით.
- გააძლიეროს მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმები შეწყვეტილ, არშემდგარ ტენდერებთან და პრეტენდენტთან დისკვალიფიკაციის საკითხებთან მიმართებაში.

## **სახელშეკრულებო პირობების დაუსაბუთაგალი ცვლილება**

მხარეთა შეთანხმებით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება გამონაკლის შემთხვევებშია შესაძლებელი. აუდიტით გამოვლინდა ხელშეკრულების ვადის უსაფუძვლო ცვლილების რამდენიმე შემთხვევა და დადგინდა, რომ როდესაც ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მიმწოდებლების მიერ ვერ ხორციელდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში, ისინი ითხოვენ სახელშეკრულებო ვადის გაგრძელებას ისეთი საფუძველსმოკლებული მიზეზების გამო, როგორებიცაა, მაგალითად, ზაფხულის პერიოდთან დაკავშირებული მაღალი ტემპერატურა, კლიმატის გაუარესება ზამთარში, მაშინ როდესაც, მათთვის ნინასწარ არის ცნობილი, რომ თუ სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება ზამთრის პერიოდში, შესაძლოა იქნეს ძლიერი სიცივეები და სხვ. გარდა სახელშეკრულებო ვადის ცვლილებისა ხშირად ხდება სახელშეკრულებო ღირებულების ზრდა.

## **რეკომენდაციები**

### **სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს:**

- მიზანშეწონილია გაძლიერდეს სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების პირობების შესრულების ეფექტიანი მო-

ნიტორინგის პროცესი, დანერგილ და გამოყენებულ იქნას საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული კონტრაქტების მენეჯმენტის სხვა დამატებითი მექანიზმები (მონიტორინგის პროცედურების წერილობით გაზრია, კონტრაქტის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შუალედური ანგარიშების წარმოდგენა მიმწოდებლების მხრიდან, და ა.შ.).

### **შემსყიდველ ორგანიზაციებს:**

• გამოყენონ მონიტორინგისა და კონტრაქტების მენეჯმენტის დამატებითი მექანიზმები; ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანამდე შემსყიდველმა ორგანიზაციებმა ზედმინევნით უნდა შეისწავლონ მიმწოდებლის მოთხოვნა შესატანი ცვლილების შესახებ. ხელშეკრულების ცვლილება უნდა დაეფუძნოს დასაბუთებულ მოთხოვნასა და შემსყიდვებისა და სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ობიექტურ გარემოებებს, რაც მტკიცებულებით უნდა დასტურდებოდეს. ელექტრონული სისტემის მეშვეობით ხელმისაწვდომი უნდა იყოს არა მხოლოდ შეტანილი ცვლილება, არამედ ყველა დაკავშირებული დოკუმენტაცია, რასაც აღნიშნული ცვლილება ეფუძნება.

## **დასკვნა**

პრობლემატურ სფეროებში რეფორმებისა და გაუმჯობესების გზების შემუშავებასთან ერთად, პირველ რიგში, აუცილებელია არსებული გამჭვირვალე სისტემის შენარჩუნება, აღნიშნული კუთხით მისი უფრო მეტად განვითარება და სსიპ სახელმწიფო შესყიდვებისა და კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ამასთანავე, აუცილებელია, მოცემულ რეკომენდაციებზე დაუყოვნებლივი რეაგირება და რეკომენდაციების ადრესატების კოორდინირებული მუშაობა.

# პროფესიული განათლება საქართველოში



# პროფესიული განათლება საქართველოში

## თემის აქტუალურობა

ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონის გამომწვევი მნიშვნელოვანი მიზანი დასაქმების მაძიებელთა პროფესიული უნარ-ჩვევების სამუშაო ბაზრის მოთხოვნებთან შეუსაბამობაა. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა პროფესიული განათლების განვითარება და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი კვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადებაა. ამ მიზნის მისაღწევად მთავრობის მიერ 2007 წლიდან დაიწყო მნიშვნელოვანი და პოზიტიური რეფორმების გატარება, მიღებულ იქნა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“. დაახლოებით წელიწად-ნახევარში, შემუშავდა „პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია“ და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, განვითარდა პროფესიულ სასწავლებელთა ინფრასტრუქტურა და აშენდა ახალი სასწავლებლები.

აღნიშნული ცვლილებების ფონზე მოსალოდნელი იყო პროფესიული განათლების სისტემის ძირეული გარდაქმნა, რასაც დადებითი გავლენა უნდა მოეხდინა უმუშევრობის შემცირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. სახელმწიფო აუდიტის სამსახური დაინტერესდა პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმებით და გადაწყვიტა შექსნავლა აღნიშნული საკითხი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ განხორციელებული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, პროფესიული განათლების სფეროში მაინც რჩება გადასაჭრელი პრობლემები, როგორიცაა პრიორიტეტული სასწავლო პროგრამების შეუსაბამობა შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან, ფინანსების განაწილება და სასწავლო პროცესის მართვაში არსებული ხარვეზები.

## ეფექტიანობის აუდიტის მიზანი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გადაწყვიტა შეესწავლა პროფესიული განათლების სისტემის მართვის საკითხები, რათა გამოევლინა მისი ძირითადი ნაკლოვანებები და გაეცა შესაბამისი რეკომენდაციები. აუდიტის სამსახურმა შეისწავლა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემა ეფექტიანობის კუთხით, რაც გულისხმობს სისტემის მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებების ეკონომიკურობის, პროფესიულობისა და ეფექტიანობის პრინციპებთან შესაბამისობის დადგენას.

აუდიტის სამსახურმა შეფასების ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად გამოიყენა კოპენჰაენის დეკლარაცია, რომელიც შემუშავდა ევროპის 33 ქვეყნის მონაწილეობით პროფესიული განათლების ჩამოყალიბების, განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის. აღნიშნულ დეკლარაციაში მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები პროფესიული სტანდარტების, კურიკულუმებისა და კრედიტების სისტემის, მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების, ხარისხის მართვის სისტემისა და პროფესიული განათლების მართვასთან დაკავშირებულ სხვა ძირითად საკითხებზე.

## გამოვლენილი ნაკლოვანები და შესაბამისი რეკომენდაციები

პრიორიტეტული სასწავლო პროგრამების განსაზღვრა

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ არ არის უზრუნველყოფილი შეთავაზებული სასწავლო პროგრამების შესაბამისობა შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან. გარდა ამისა, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განსაზღვროს, თუ რა ოდენობის სტუდენტის დაფინანსება და გადამზადება არის გონივრული თითოეულ პროფესიაზე. შედეგად, კერძო სექტორის სუბიექტები განიცდიან პროფესიული კადრების ნაკლებობას. კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 1/4 საქმდება თავისი პროფესიით, რაც, თავის მხრივ პრიორიტეტების განსაზღვრის სისტემის დაბალ ეფექტიანობაზე მეტყველებს.

### რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- უზრუნველყოფილ იქნას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013-2020 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, რაც ითვალისწინებს შრომის ბაზრის კვლევის სისტემების დანერგვას, მის შემდგომ განვითარებასა და საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას;
- ბაზრის კვლევის შედეგების საფუძველზე გაუმჯობესდეს პროფესიული განათლების სასწავლო პროგრამების პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესი, შემუშავდეს და დაინერგოს შესაბამისი პროცედურები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პრიორიტეტების მისადაგება რეგიონებში არსებულ სპეციფიკურ მოთხოვნებთან.

### სასწავლო პროცესების მართვა

გატარებული ღონისძიებებს მიუხედავად, სამინისტროს მიზანი, რომელიც კოპენჰაგენის დეკლარაციისთან და ევროპის სივრცესთან დაახლოებაა, არ არის მიღწეული. პროფესიული განათლების სფეროში დანერგილი ანგარიშების, მონიტორინგისა და ხარისხის კონტროლის სისტემა არ არის სრულყოფილი, სასწავლო პროგრამების კურიკულუმები და კრედიტების სისტემა შეუსაბამობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან და პრაქტიკასთან, მასაც გლობალურად გადამზადება არ არის ორიენტირებული პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე და გადამზადება ძირითადად ხდება ზოგად უნარ-ჩვევებში, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და კერძი სექტორის ჩართულობა შეზღუდულია.

ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს უშლის სისტემის გამართულად ფუნქციონირებას, რაც ვერ უზრუნველყოფს სტუდენტთათვის სათანადო ხარისხის სწავლების მიწოდებას. ეს კი საბოლოო ჯამში განაპირობებს პროფესიული კადრების არასაკმარის კვალიფიკაციას და ბაზრის მოთხოვნებთან შეუსაბამობას.

## **რეკომენდაციები:**

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს
  - მიზანშეწონილია, რომ სამინისტროსა და სააგენტოს მიერ შემუშავდეს სასწავლებელთა შეფასების სრულყოფილი მეთოდოლოგია და ინდიკატორები, რომლის მიხედვითაც რეგულარულად მოხდება ნაკლოვანებების გამოვლენა და დაისახება სტრატეგიაში მათი გამოსწორების გზები; შეფასების პროცესში უზრუნველყოფილ იქნას კერძო სექტორის ჩართულობა;
  - სასურველია, საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითზე, სამინისტროს ხელშეწყობით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეიქმნას კურიკულუმებისა და კრედიტების უნიფიცირებული სისტემა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან;
  - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები ირიგატურებული იყოს პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე და მათი საწარმოებში (დამსაქმებლებთან) ჩატარების შესაძლებლობასთან;
  - მიზანშეწონილია, შესრულდეს ახლად შექმნილი კომუნიკაციის სტრატეგიით („დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლების სტრატეგია პროფესიული განათლების სექტორში“) გათვალისწინებული ყველა პუნქტი რათა მოხდეს ბიზნესის წარმომადგენლების დაინტერესება, ჩაერთონ პროფესიული განათლების პროცესში.
  - შეიქმნას მონაცემთა ერთიანი ბაზა (რომელიც უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას სტუდენტების, კოლეჯების, პედაგოგების, პროგრამების და ა.შ. შესახებ) და ამოქმედდეს სრულფასოვნად მისი ყველა პუნქტი, რაც მომავალში მონიტორინგის განხორციელების საშუალებას იძლევა.

## პროფესიული განათლების დაფინანსება

პროფესიული განათლების დაფინანსების სისტემის სხვადასხვა ას-პექტის ანალიზმა აჩვენა, რომ არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფ-და ფინანსური სახსრების ოპტიმალურ და რაციონალურ გამოყენებას: სახელმწიფო თანხები სასწავლებლებს შორის არ ნაწილდებოდა ოპტი-მალურად და სამართლიანად; სასწავლებლებისათვის გამოყოფილი და-ფინანსება არ შეესაბამებოდა მათ საჭიროებებს; სასწავლებელთა ინ-ფრასტრუქტურული განვითარება მიმდინარეობდა ეკონომიკურობისა და პროდუქტიულობის ასპექტების გაუთვალისწინებლად. ვაუჩერის გა-ცემის სისტემის ნაკლოვანებებმა გამოიწვია მნიშვნელოვანი ოდენობის თანხების არაეფექტურიანად გახარჯვა. მას შემდეგ, რაც ვაუჩერული და-ფინანსების სისტემა იქნა შემოღებული, იმ სტუდენტებზე გახარჯულმა თანხებმა, რომლებმაც მიიღეს ვაუჩერული დაფინანსება, მაგრამ გარიც-ხვისა თუ სხვა მიზეზით სწავლის შეწყვეტის გამო პროგრამის დასრუ-ლება და, შესაბამისად, პროფესიის დაუფლება ვერ შეძლეს, შეადგინა თითქმის 2 მილიონი ლარი. ხოლო იმ თანხამ, რაც სასწავლებლებში ჩაირიცხა სტუდენტების გარიცხვის შემდგომ, შეადგინა 866,516 ლარი, რაც არამიზნობრივ ხარჯს წარმოადგენს.

### რეკომენდაციები:

#### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- სამინისტრომ შეიმუშავოს მეთოდოლოგია და კრიტერიუ-მები (მაგალითად, სტუდენტთა კონტინგენტი, სასწავლებლის პროფილი, მასწავლებელთა რაოდენობა და ა.შ.) რომელთა სა-ფუძველზეც მოხდება ადმინისტრაციული ხარჯისათვის გათ-ვალისწინებული დაფინანსების ოდენობის განსაზღვრა;
- სასურველია, სამინისტრომ გააუმჯობესოს ვაუჩერული და-ფინანსების სისტემა. უნდა შემუშავდეს და დაინერგოს პროცე-დურები, რომლის საშუალებით სათანადო იქნება შესწავლილი და დაანგარიშებული ვაუჩერის ოდენობა ყველა რელევანტური ასპექტის გათვალისწინებით - პროგრამის ხანგრძლივობა, ტი-პი, შინაარსი, სტუდენტთა რაოდენობა, ხარჯები და ა.შ.

- სამინისტრომ უნდა ჩამოაყალიბოს ვაუჩერის მართვის სისტემა, რომელიც გაითვალისწინებს მის რაციონალურ დანაწილებას სასწავლო პროცესის ეტაპების მიხედვით, მეტი კონტროლის უზრუნველასყოფად. აღნიშნულისათვის აუცილებელია სტუდენტთა შესახებ სრულყოფილი და გამართული მონაცემთა ბაზის არსებობა და მისი მუდმივი მონიტორინგი.
- კერძო სასწავლებელთა დაფინანსების თაობაზე შემუშავდეს პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს პროცესიულ სასწავლებელებზე გაცემული დაფინანსების პროდუქტულებას, კონკურენციის ამაღლებასა და ხელმისაწვდომობის ზრდას.

## აუდიტის შედეგი

აუდიტის შედეგად გამოვლენილ გარემოებებზე და შესაბამის რეკომენდაციებზე სამინისტრომ რეაგირება სამოქმედო გეგმის სახით მოახდინა. მიმდინარეობს ცვლილებების განხორციელება პროფესიული განათლების დაფინანსების სისტემაში (ვაუჩერის დიფერენციაცია პროგრამების სხვადასხვა ასპექტების მიხედვით, გარიცხული სტუდენტებისთვის დაფინანსების შეწყვეტა, მონაცემთა ბაზის შექმნა); დაწყებულია სასწავლო პროცესების მართვის რეფორმები (კურიკულუმების შემუშავება კოპენდიაგენის დეკლარაციის შესაბამისად, კრედიტების სისტემის უნიფიცირება) და მიმდინარეობს შრომის ბაზრის კვლევის ტექნოლოგიების პილოტირება. 2015 წლიდან იგეგმება შრომის ბაზრის კვლევის დაწყება, რაც საშუალებას მისცემს სამინისტროს, სწორად განსაზღვროს პროფესიული განათლების პრიორიტეტული პროგრამები რეგიონების მიხედვით. პროფესიული განათლების განვითარებაში მონაწილეობას იღებენ ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში და სხვა დონორები. მიმდინარეობს სოციალური პარტნიორების სისტემაში ჩართულობაზე მუშაობა.

# მაცნეორების მართვის ღონისძიებები



# მეცნიერების მართვის ღონისძიებები

## თემის აქტუალურობა

თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნის ეკონომიკა და მისი კონკურენტუნარიანობა სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული სამეცნიერო კვლევისა და ინოვაციის სიძლიერეზე. მთავარი აქტივი ხდება ცოდნა და მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა ცდილობს ჩამოაყალიბოს „ცოდნაზე დამყარებული საზოგადოება“, რომელსაც ექნება კარგი ინოვაციური პოტენციალი და ეყოლება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალი ხარისხის განათლებით აღჭურვილი სამუშაო ძალა.

2004 წლიდან სახელმწიფომ გადადგა ნაბიჯები სამეცნიერო სფეროს მართვის მიღებული პრინციპების საქართველოში დასანერგად. უკანასკუნელი წლების განმავლობაში საქართველოში სამეცნიერო აქტივობა ზომიერად იზრდება. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო აქტივობის დაბალი ტემპის გამო საქართველოს პოზიციები საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგში გაუარესდა. პრაქტიკული თვალსაზრისით, მეცნიერება სრულფასოვნად ვერ მონაწილეობს ქვეყნის ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარების პროცესში, რადგანაც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული გამოყენებითი კვლევების კონკრეტულ ინოვაციურ პროდუქტად გარდაქმნის შემთხვევები თითქმის არ გვხვდება.

სამეცნიერო საქმიანობას შეუძლია ორი ძირითადი გზით შეიტანოს წვლილი ქვეყნის განვითარებაში:

- გამოყენებითი კვლევების განხორციელებით და ინოვაციური ტექნოლოგიების პრაქტიკაში დანერგვის საშუალებით ეკონომიკის განვითარებაში მონაწილეობა;
- საბაზისო სამეცნიერო კვლევებითა და აკადემიური საქმიანობით ცოდნის დაგროვება და მისი მომავალი თაობებისთვის გადაცემა, რაც განათლებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების წინაპირობაა.

სამეცნიერო სისტემის განვითარებას ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მატერიალური და არამატერიალური სარგებლის მოტანა შეუძლია. ასევე, მეცნიერება დიდ როლს ასრულებს სამოქალაქო საზოგადოების ჩა-

მოყალიბებაში. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გადაწყვიტა შეესწავლა, თუ რამდენად პროდუქტიული და ეფექტურია სახელმწიფო, მეცნიერების განვითარებისთვის ხელსაყრელი წინაპირობების მომზადების პროცესში.

## ეფექტურობის აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანს წარმოადგენდა სამეცნიერო სფეროს სახელმწიფო მართვის ეფექტურობის შეფასება და იმ პრობლემების გამოვლენა, რომელიც ხელს უშლიან სამეცნიერო კვლევისა და ინოვაციის განვითარებას საქართველოში, ამ მიზნით სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა საქართველოს მთავრობის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ „შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის“, სსიპ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის“, სახელმწიფო უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ განხორციელებული საქმიანობა.

## გამოვლენილი ნაკლოვანებები და შესაჩავისი რეალ-განლაციები

მთავრობის მიერ სამეცნიერო სფეროს სტრატეგიული მართვა

სახელმწიფოს მიერ სამეცნიერო საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები განსაზღვრული არ არის, რის შედეგადაც სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურობა მცირდება: სამეცნიერო კვლევებზე გამოყოფილი თანხა მრავალ მიმართულებაზეა გადანაწილებული, რაც ზრდის ნაკლებად აქტუალურ სფეროებში კვლევების დაფინანსების რისკს. ნაკლებად აქტუალურ სფეროში ჩატარებულ კვლევებს კი როგორც წესი, არ აქვთ იმის პოტენციალი, რომ ხელი შეუწყონ ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტას. ამრიგად, სამეცნიერო პრიორიტეტების არქონა აბრკოლებს სამეცნიერო სფეროს მიერ რელევანტური და ინოვაციური მიდგომებით საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობას.

სამეცნიერო სფეროს მართვის საქართველოში არსებული სტრუქტურა არ შეესაბამება ეკორპაში აპრობირებულ მოდელს. არაეფექტურიანი ორგანიზაციული სტრუქტურა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში მეცნიერების ხელშეწყობისთვის აუცილებელი ზოგიერთი ორგანიზაციული ერთეულის არარსებობა აფერხებს მეცნიერების განვითარებას და ზღუდავს ინოვაციური პროექტების პრაქტიკულ განხორციელებას.

არასრულფასოვანი შეფასებისა და მონიტორინგის სისტემის პირობებში აღმასრულებელ ხელისუფლებას არ გააჩნია შესაბამისი ინფორმაცია არსებული მდგომარეობის რეალური შეფასებისა და სამეცნიერო საქმიანობის განვითარების რაციონალური დაგეგმვისთვის.

### რეკომენდაციები:

#### მთავრობას და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- სამეცნიერო მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა დაუახლოვდეს საერთაშორისოდ მიღებულ მეცნიერების მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურას, რათა ჩამოყალიბდეს სამეცნიერო სფეროს მართვისთვის აუცილებელი ქმედითი სტრუქტურული ერთეულები;
- სამინისტრომ უზრუნველყოს სამეცნიერო პრიორიტეტების შემუშავება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებებიდან გამომდინარე;
- სამინისტრომ უზრუნველყოს სამეცნიერო სფეროს შეფასებისა და მონიტორინგის სისტემის შექმნა და ფუნქციონირება, სადაც თავს მოიყრის სამეცნიერო სფეროში პოლიტიკის განსაზღვრისა და ეფექტურიანი მმართველობისათვის საჭირო ინფორმაცია.

#### სამეცნიერო-კვლევითი და უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების ინტეგრაცია

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების ინტეგრაციის მიზნები და ამ მიზნების მიღწევის პრაქტიკული მექანიზმები განსაზღვრული არ არის. ინტეგრაციის მიზნების და მათი განხორციე-

ლების პრაქტიკული მექანიზმების განსაზღვრის გარეშე, ინტეგრაციის პროცესი ვერ უზრუნველყოფს სასურველ ეფექტს სამეცნიერო კვლევითა და სწავლების დახმარების შედეგად.

საჭიროა განისაზღვროს მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ინტეგრაციის პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებას როგორც სტუდენტებისა და აქტიური მკვლევარების ჩართულობის, ასევე დინამიური სამეცნიერო გარემოს შექმნით და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინოვაციასთან დაკავშირების მხრივ.

სამეცნიერო ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაციისა და პრივატიზაციის ხედვა განსაზღვრული არ არის, რომლის გარეშე ვერ მოხდება კრიტიკულად მნიშვნელოვანი სამეცნიერო ინფრასტრუქტურის იდენტიფიცირება და მისი მაქსიმალურად პროდუქტიული რეაბილიტაცია. აღნიშნული მდგომარეობა, შენობა-ნაგებობებისა და ტექნიკური აღჭურვილობის მორალური და ფიზიკური მოძველების პირობებში, შესაბამისი შიდა კონტროლის სისუსტის გათვალისწინებით, ზრდის მის არადანიშნულებისამებრ და არაეფექტურიანად გამოყენების რისკს.

შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკისა და პერსპექტიული მკვლევარებისთვის მატერიალური სტიმულის უზრუნველყოფის გარეშე, რთული იქნება სამეცნიერო კვლევისგან პრაქტიკული ეკომონიკური „დამატებითი ღირებულების“ შექმნა და პერსპექტიული მეცნიერების მოზიდვა-შენარჩუნება.

### რეკომენდაციები:

#### მთავრობას, უნივერსიტეტებს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- მთავრობამ და სამინისტრომ სამეცნიერო კვლევისა და სწავლების პროცესის სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის განსაზღვროს ინტეგრაციის მიზნები და მისი შეფასების ინდიკატორები, რომლის მიხედვითაც მოხდება მიმდინარე პროცესის და მისი პრაქტიკული შედეგების შეფასება;
- მთავრობამ და სამინისტრომ შეიმუშავონ სამეცნიერო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის გეგმა, რომელიც არსებული საჭიროებებისა და სამეცნიერო პოტენციალის გათვალისწინებისას განვითარების მიზანით.

წინებით ხელს შეუწყობს აუცილებელი სამეცნიერო ინფრასტრუქტურის თანმიმდევრულ რეაბილიტაციას;


- სამინისტრომ და უნივერსიტეტებმა შეიმუშავონ სამეცნიერო კვლევისა და ინოვაციის შედეგების პრაქტიკული გამოყენებისა და სამეცნიერო კვლევისა და სწავლების დაახლოების პრაქტიკული მექანიზმები, რომლებიც გააღრმავებს უნივერსიტეტებს, მკვლევართა და სტუდენტებს შორის თანამშრომლობას და დააინტერესებს კერძო სექტორს სამეცნიერო საქმიანობის შედეგებით.

## სამეცნიერო სფეროს დაფინანსება

შეცნიერების დაფინანსების ოდენობის ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდების პროცენტული მაჩვენებელი გამოიყენება ქვეყანაში მეცნიერების პრიორიტეტულობისა და მისი განვითარების ერთეულთ მთავარ ინდიკატორად. ევროკავშირის ქვეყნებისათვის დაფინანსების სასურველ დონედ სამეცნიერო საქმიანობის მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-ით დაფინანსება განისაზღვრა, რომლის 2/3 ნაწილი კერძო სექტორიდან უნდა იქნეს მოზიდული. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად საშუალო ევროპული მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 2%-ია, ევროკავშირის ქვეყნებში შეინიშნება მნიშვნელოვანი ზრდა მეცნიერებისა და ინოვაციის დაფინანსების კუთხით (2000-2008 წლებში ზრდის რეალური მაჩვენებელი 25%-ია).

საქართველოს ბიუჯეტიდან სამეცნიერო პროგრამებზე გამოყოფილი ასიგნების დინამიკა მოცემულია ქვემოთ. სამეცნიერო საქმიანობის-თვის გამოყოფილი ასიგნების შეფარდება მშპ-სთან 2012 წლისთვის, დაახლოებით 0.15%-ს შეადგენს.<sup>1</sup>

<sup>1</sup> აღნიშნული არ ითვალისწინებს თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში შემავალ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს



როგორც გრაფიკიდან ჩანს, საქართველოში მეცნიერების დაფინანსება არათანმიმდევრულია და არ ახასიათებს ზრდის დინამიკა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მეცნიერების დაფინანსება პროპორციულად დაახლოებით 10-ჯერ ჩამორჩება ევროკავშირის საშუალო ანალოგიურ მაჩვენებელს, 2011 და 2012 წლებში სამეცნიერო საქმიანობის დასაფინანსებლად რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისთვის „სამეცნიერო პროგრამებისა და გრანტებისთვის“ გამოყოფილი დაფინანსებიდან სამეცნიერო საქმიანობაზე დაიხარჯა ნახევარზე ოდნავ მეტი, ხოლო დარჩენილი რესურსი წლის ბოლოს ბიუჯეტის კორექტირების შემდგომ მიმმართა არა სამეცნიერო მიზნებისთვის.

უფრო კონკრეტულად, 2011 და 2012 წლებში ფონდს დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით „სამეცნიერო პროგრამებისა და გრანტებისათვის“ გამოყოფილი ჰქონდა შესაბამისად 23,700 ათასი და 23,901 ათასი ლარი.

ანალოგიურ პერიოდში ფონდის ხარჯმა „სამეცნიერო პროგრამებისა და გრანტების“ მუხლით შეადგინა 14,010 და 12,177 ათასი ლარი (აღნიშნულ თანხაში შედის არა მარტო სამეცნიერო კვლევები, არამედ სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა სახის გრანტებიც). ამრიგად, მოცემული ორი წლის სამეცნიერო პროგრამებსა და გრანტებზე გამოყოფილი ასიგნებებიდან მეცნიერების განვითარებაზე დაიხარჯა 55%.

სამეცნიერო საქმიანობის დაბალი პრიორიტეტულობა გამოიხატება სამეცნიერო კვლევებისთვის განკუთვნილი ასიგნებების ნაწილობრივ გამოყენებაში. ნაკლები პრიორიტეტულობა კი, თავის მხრივ იწვევს მაღალი ხარისხის სამეცნიერო კვლევების დაუფინანსებლობას, აქტიურ მკვლევართა დემოტივაციას და პოტენციურ ახალგაზრდა მეცნიერთა კარიერულ გადაწყვეტილებებზე ნეგატიურ ზემოქმედებას, რაც საბოლოოდ უარყოფითად აისახება ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალზე.

## დასკვნა

აუდიტის პერიოდში სახელმწიფოსთვის სამეცნიერო სფერო ნაკლებად პრიორიტეტული იყო, რაც უარყოფითად აისახა მეცნიერების მართვის სხვადასხვა ასპექტზე. ამრიგად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ იდენტიფიცირებული იქნა შეუსაბამობები სამეცნიერო საქმიანობის მართვის უკეთეს საერთაშორისო პრაქტიკასთან შემდეგ სფეროებში:

- სამეცნიერო პრიორიტეტების განსაზღვრა
- მეცნიერების მართვის ქმედითი ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა

- აკადემიური და კვლევითი საქმიანობის ინტეგრაცია
- სამეცნიერო ინფრასტუქტურის ოპტიმიზაცია-განახლება
- სამეცნიერო სფეროს დაფინანსება და სხვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიაჩინა, რომ წინამდებარე ანგარიშის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების დაინტერესებული მხარეების მიერ გათვალისწინების შემთხვევაში გაუმჯობესდება სამეცნიერო სფეროს სახელმწიფო მართვა. მეცნიერების განვითარებისთვის ხელსაყრელი წინაპირობების უზრუნველყოფა კი თავის მხრივ დაეხმარება საქართველოს მოსახლეობას ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესებასა და თანამედროვე საზოგადოებად ფორმირების პროცესში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური  
ეფექტურობის აუდიტის დეპარტამენტი

მის: ქ. თბილისი, 0144, ნზ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96  
ტელ: (+995 32) 243 84 38 (178)  
ფაქსი: (+995 32) 243 81 31  
ვებ-გვერდი: [www.sao.ge](http://www.sao.ge)